ბრძანება № 1-61

გორი 12 09 2024წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 07 ნოემბრის N09-204 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის ორგანოების არჩევის წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, დაინიშნოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 3, სტუდენტი - 2;

ბ) განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 2, სტუდენტი - 1;

გ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 2, სტუდენტი - 1.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 23 სექტემბერს და დასრულდეს 2024 წლის 02 ოქტომბერს, ხოლო არჩევნები ჩატარდეს 2024 წლის 08 ოქტომბერს.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მის.: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, ოთახი 118.

4. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

5. საარჩევნო კომისიამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარებისას იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობითა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 07 ნოემბრის N09-204 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის ორგანოების არჩევის წესით".

6. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

7. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

8. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის.

9. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

10. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი